ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი № 12

სხდომის ჩატარების დრო:

30 სექტემბერი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეთორმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე, ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვეტაძე, მ.კოსტავა, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, შ.ჯიშკარიანი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

სულ: 25 წევრიდან - 22 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი და ა.მიქაუტაძე.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილეები: ბატონები: გ.ცხაკაია, დ.ნიშნიანიძე და მ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი ლ.კინწურაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი მ.საცერაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბატონი რ,გვეტაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.

მოისმინეს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთორმეტე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ 2026 წლის 30 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**დღის წესრიგის პროექტს მე-8 ნომრად დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №2-2)-სა და ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №1)-ში პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“; მე-3 საკითხზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი გიორგაძე შეიცვალა ამ განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რუსლან გვეტაძით.**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **მეთორმეტე** სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლოატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალების განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ლევან კინწურაშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

2. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ლევან კინწურაშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი რუსლან გვეტაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-
იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი მანანა ჩიხლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი მზევინარ საცერაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი მზევინარ საცერაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი მზევინარ საცერაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №2-2)-სა და ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №1)-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი მზევინარ საცერაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს მეთორმეტე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთორმეტე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლოატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალების განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 30 სექტემბრის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში დაემატა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.)**, წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **ლევან კინწურაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოგესალმებით დამსწრე საზოგადოებას, ქალაქის მერს, მედია საშუალებებს, მერის მოადგილეებს, კოლეგებს. ბატონო ლევან, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ მოქალაქეებს, სად არ შეიძლება მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლოატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების განთავსება და რეალიზაცია, რა ადგილებზეა საუბარი?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **ლევან კინწურაშვილი:** „ეს წესი

განსაზღვრულია კანონით. ესენია: საცხოვრებელი ზონები, რეკრეაციული და დასასვენებელი ზონები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები, სანიტარული და ეკოლოგიური დაცვის ზონები, სატყეო და ლანდშაფტური ზონები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭილვარიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.იობაშვილი, მ.გიორგაძე, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **ლევან კინწურაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 სექტემბრის **№29 დადგენილების** პროექტში.

(მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლოატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალების განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება №29** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეორე** საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო**

ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **ლევან კინწურაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეორე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **ლევან კინწურაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №30** ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 30 სექტემბრის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტში გასწორდა საკრებულოს 2026 წლის 26 აგვისტოს №26 დადგენილების სათაურის დასახელებაში დაშვებული შეცდომა, კერძოდ, სიტყვები: „სამგზავრო გადაყვანის“, შეიცვალა სიტყვებით: „სამგზავრო გადაყვანისას“. გამომდინარე აქედან, ხსენებული აქტის სათაურის დასახელება ჩაიწერა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“)**, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, ბატონმა **რუსლან გვეტაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის- იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, **რუსლან გვეტაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 სექტემბრის **№31 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №31** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მანანა ჩიხლაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ქალბატონი მანანა იმ კომისიის თავმჯდომარე გახლავთ, რომელი სფეროს წარმომადგენელიცაა. თითქმის საკრებულოს ყველა კომისიას ხელმძღვანელობენ ის პირები, რომელი სფეროს წარმომადგენლებიც თავად არიან, ამიტომ მათი საქმიანობა არის მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი. ქალბატონი მანანას გულისხმიერება ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია. აღნიშნული კომისიის ყველა წევრი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელია ან ამ სფეროსთან დაკავშირებული ოჯახის წევრები ყავთ. მე, როგორც სტუმარი, მრავალჯერ დავსწრებივარ ქალბატონი მანანას კომისიის სხდომას. კომისია მთლიანად ორიენტირებულია მოქალაქეებზე, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. ძალიან დიდი მადლობა ამ კომისიას, კომისიის წევრებს კომპეტენციისათვის და ნაყოფიერი მუშაობისათვის. მათ აქვთ ხელშესახები შედეგებიც, ციფრებიც. ამ ციფრების უკან შედეგები დგას, ამ საქმიანობის მიმართ - საზოგადოების კმაყოფილება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენგანისათვის, ჩვენი გუნდისათვის, თვითმმართველობისათვის. განსაკუთრებული მადლობა აღმასრულებელს, რომელიც მხარში გვიდგას, მადლობა ქალაქის მერს, მადლობა თავად სოციალურ სამსახურს, რომელსაც ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი ხელმძღვანელობს, ყველა მის თანამშრომელს. მართლაც თავდაუზოგავად მუშაობენ. არც ერთი მოქალაქე, თუნდაც ვერ დაეხმარონ, უკმაყოფილო არ ყოლიათ და არ ყავთ. ყველა მოქალაქეს ეკიდებიან სრული პასუხისმგებლობით. ჯანდაცვის საკითხებსა და სოციალურ სფეროს კურატორობს ქალაქის მერის მოადგილე, ბატონი შალვა მშვილდაძე. ის ძალიან გულისხმიერი, ობიექტურია და კარგად იცის ჯანდაცვისა და

სოციალური პროგრამები. იცის რომელ მოქალაქეს როგორ დავეხმაროთ. მადლობა მას ამ ჩართულობისათვის ყველა საკითხში. დიდი მადლობა ყველა თქვენთაგანს. დიდი მადლობა ქალბატონო მანანა. თქვენ, ხომ განსაკუთრებული ხართ ყველა საქმეში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „მოგესალმებით მეგობრებო, კოლეგებო. ქალბატონო მანანა, ძალიან დიდი მადლობა ასეთი აკადემიური გამოსვლისათვის. მადლობა თქვენ და მადლობა თქვენს გუნდს. მადლობა ბატონ ბიძინას, რომ მოსახლეობას მისცა ჩვენმა გუნდმა საშუალება ისარგებლოს სამედიცინო სერვისებით. პირველი პროექტი, რაც ჩვენმა გუნდმა განახორციელა, იყო საყოველთაო ჯანდაცვა. ამან მისცა საშუალება ჩვენს მოსახლეობას, რომ მიიღოს კარგი ჯანდაცვა, ჩვენ კი მოგვცა შესაძლებლობა, თვითმმართველობებმა მეტი პროექტები განვახორციელოთ, მეტი დახმარება გავუწიოთ მოსახლეობას. დიდი მადლობა ბატონ მერს, ყველა სამსახურს. განსაკუთრებით მინდა მადლობა ვუთხრა, ბატონ ვარლამს, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება. ის მუშაობდა სოციალური პროექტების მიმართულებით 2016 - 2020 წლების განმავლობაში. სწორი არჩევანი გაკეთდა და ბატონი ვარლამი სწორედ იმ ადგილზეა, სადაც იმსახურებს ყოფნას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მეც ვუერთდები ამ განწყობას. მადლობას ვუხდი კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის ყველა წევრს და წარმატებას ვუსურვებ თვითმმართველობას, ქალბატონ მანანას და თითოეულ ჩვენთაგანს, რადგან ეს წარმატება, რა თქმა უნდა, აისახება ჩვენი ქალაქის რეალობასა და წინსვლაზე."

ზემოაღნიშნული ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.**

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ და **განკარგულება №99** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **მზევინარ საცერაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესახებ“ **განკარგულება №100** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭილვარიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ა.კოპალეიშვილი, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **მზევინარ საცერაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №101** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 30 სექტემბრის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე**

მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები. აქვე ჩაიწერა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის რეკვიზიტები; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ განსაზღვრული წლიური საიჯარო ქირის ფასის ოდენობა - „215.0“ ლარი, შეიცვალა „220.0“ ლარით“; განკარგულების პროექტის მე-3 მუხლში სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემული გარე განათების კონსტრუქციის ერთეულის ოდენობა - „43“, შეიცვალა „44 - ით“; განკარგულების პროექტის დანართს დაემატა მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „7. ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩის მიმდებარედ-გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი) – 1 - 44-03.00.058“; განკარგულების პროექტის დანართის ბოლო პუნქტში („სულ“) წერტილების საერთო რაოდენობა - „43“, შეიცვალა - „44-ით“), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „დაგვიკონკრეტეთ ქალბატონო მზევინარ, ეს გადასახადი არის ყოველთვიური თუ წლის მანძილზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „ეს არის წლიური გადასახადი, ერთ წერტილზე - 5 ლარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „თანხა სამხარაულის დასკვნის საფუძველზე დადგინდა ხომ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის

ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „დიახ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ ეს გადაწყვეტილება მოქალაქეების თხოვნით არის გათვალისწინებული, მაგრამ მე ვთხოვ, თვითონ ამ კომპანიას, რომ გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. ხდება ცვლილებები, რომლის შესახებ მოქალაქეები ინფორმირებული არ არიან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ა.კოპალეიშვილი, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **მზევინარ საცერაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 სექტემბრის **№102** განკარგულების პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №102** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მერვე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი**

ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №2-2)-სა და ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №1)-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ძალიან კარგია ის, რომ ქალაქის მერმა პირობაში ჩადო, რაც აუცილებელია მუნიციპალიტეტისათვის, თუ არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, უკან გამოითხოვოს კუთვნილი უძრავი ქონება. ეს წინდახედულება ძალიან კარგია და ჩვენ ყველა ასეთ პირობას დავუჭერთ მხარს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2-მა წევრმა: ქალბატონებმა ე.არჩაიამ და თ.მებურიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მერვე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **მზევინარ საცერაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №2-2)-სა და ქალაქ ქუთაისში, აკაკი ხორავას ქუჩა №1 (ნაკვეთი №1)-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ **განკარგულება №103** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მეთორმეტე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგითი მეთორმეტე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეთორმეტე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.